2025

მაისი 2025

საქმიანობის ანგარიში

პროგრესული ფორუმი

სარჩევი

03 მშრომელთა ძალის ანგარიში 2024

05 „პროგრესული ფორუმის“ პოდკასტი

07 პროგრესული იდეების სკოლა

09 პროგრესული ფორუმის კვლევითი ცენტრი

14 ღირსეული შრომის ხელშეწყობა

მშრომელთა ძალის ანგარიში 2024

პროგრესული ფორუმის კვლევითმა ცენტრმა მოამზადა „მშრომელთა ძალის ანგარიში 2024“. პუბლიკაცია მიმოიხილავს და აანალიზებს იმ ფაქტორებს, რომლებიც მშრომელთა სიძლიერესა თუ სისუსტეს განაპირობებს საქართველოში.

ანგარიშის ავტორები კოტე ერისთავი და ანა მიხელიძე წარმოგვიდგენენ მშრომელთა ძალის განმსაზღვრელ სამ ძირითად კომპონენტს: მშრომელთა ‘ხმა’ სამუშაო ადგილზე, შრომითი ურთიერთობიდან და/ან შრომის ბაზრიდან მშრომელთა ‘გასვლის’ შესაძლებლობები და შრომითი ურთიერთობიდან დამსაქმებელთა ‘გასვლის’ შესაძლებლობები. თითოეული კომპონენტი მშრომელთა ძალის განმსაზღვრელ არაერთ ფაქტორს მოიცავს, მათ შორისაა: სახელშეკრულებო მოწყვლადობა, ხელშეკრულების პირობების დარღვევის სიხშირე, გენდერული დისკრიმინაციის მაჩვენებლები, პროფკავშირების სიძლიერე,

წვდომა აღსრულების მექანიზმებზე, კონკურენცია მშრომელებს შორის, მშრომელების ფინანსური მდგომარეობა, მონოფსონია შრომის ბაზარზე, სოციალურ დაცვაზე წვდომა, დასაქმების პროგრამების ეფექტიანობა და სხვა.

„საქართველოში, საჯარო და პოლიტიკურ სივრცეში, იშვიათად მსჯელობენ მშრომელთა გაძლიერების მნიშვნელობაზე. ძირითადად, ყურადღებას ბიზნესის კეთილდღეობასა და მისი მუშაობისთვის ხელსაყრელ პირობებზე ამახვილებენ და სწორედ მათ აღიქვამენ ხოლმე მშრომელთა კეთილდღეობის მთავარ წინაპირობად. ხოლო იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა მშრომელთა პრობლემების მოგვარების გზები მსჯელობის საგანი ხდება, დისკუსიებში მთავარ ადგილს შრომითი კანონმდებლობის და მისი აღსრულების საკითხები იკავებს“. - ნათქვამია კვლევის შესავალში. აღნიშნულ კონტექსტში, ანგარიშის მიზანია მშრომელთა მობილიზებისა და კეთილდღეობის ხელისშემშლელი გარემოებების შესახებ მაქსიმალურად სრული სურათის წარმოჩენა. ანგარიშში ასევე წარმოდგენილია მშრომელთა გაძლიერებისთვის სახელმწიფოს მხრიდან გადასადგემელი აუცილებელი ნაბიჯების ჩამონათვალი.

კვლევის სრულად გასაცნობად, მიჰყევით ბმულს

პროექტი მომზადებულია ოლოფ პალმეს საერთაშორისო ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

„პროგრესული ფორუმის“ პოდკასტი



2024 წლიდან „პროგრესულმა ფორუმმა“ დაიწყო პოდკასტის სერიების მომზადება. გადაცემები მსმენელსა და მაყურებელს სთავაზობს სიღრმისეულ, კვლევაზე და ფაქტებზე დაფუძნებულ მიმოხილვას და დისკუსიებს სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე.

პოდკასტი ფორუმის იუთუბის არხზე გადაიცემა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესების კონტექსტში ეხმიანება ისეთ საკითხებს, როგორიცაა შრომითი უფლებები, გარემოსდაცვითი თუ სოციალური პროტესტი, მედიაგარემო, საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია.

პროექტის მომზადება შესაძლებელი გახდა დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნული ფონდისა (NED) და ოლოფ პალმეს საერთაშორისო ცენტრის მხარდაჭერით.

გადაცემებს იხილავთ შემდეგ ბმულზე

სოციალურ-ეკონომიკური საკითხები პარტიების პროგრამებში



პროგრესული ფორუმის პოდკასტის ერთ-ერთი პირველი პროექტი იყო წინასაარჩევნო პოდკასტების სერია, რომლის ფარგლებშიც, 2024 წლის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან შედგა დისკუსია მათ საარჩევნო პროგრამებში შეტანილი სოციალურ-ეკონომიკური საკითხების და მათი განხორციელების გზების შესახებ.

პოლიტიკური პოდკასტების სერია იყო ნაწილი „პროგრესული ფორუმისა“ და გამოცემა „პუბლიკას“ ერთიანი წინასაარჩევნო პროექტისა „სოციალურ-ეკონომიკური საკითხები პარტიების პროგრამებში“. იუთუბ-არხზე გასული ვიდეო-დისკუსიების პარალელურად, გამოცემა „პულბიკამ“ ჩაატარა მოკვლევები და ინტენსიურად და სიღრმისეულად გააშუქა არჩევნებში მონაწილე ხუთი მთავარი პარტიის წინასაარჩევნო პროგრამები და დაპირებები სოციალურ-ეკონომიკურ ჭრილში.

სერიები მომზადდა პროექტის „შრომითი უფლებების შესახებ საჯარო დისკუსიის ხელშეწყობის“ ფარგლებში. 2023-25 წლის განმავლობაში, „პროგრესული ფორუმი“ და გამოცემა „პუბლიკა“ მუშაობდნენ საზოგადოებაში და ქართულ მედიალანდშაფტში სოციალური საკითხების სიღრმისეულ გაშუქებასა და მათ გარშემო დისკუსიის ხელშეწყობისათვის, რის ფარგლებშიც მომზადდა კვლევები და ასეულობით სტატია.

პროგრესული იდეების სკოლა

“პროგრესული ფორუმის“ ყველაზე ხანგრძლივი პროექტი, რომელიც უკვე ათი წლისაა - პროგრესული იდეების სკოლა - 2024 წელსაც დაბრუნდა ტრენინგებითა და სამუშაო შეხვედრებით. ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით, „პროგრესული იდეების სკოლაში“ გასულ წელს, ჯამში, 100-მდე ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა.

გასული წლის 31 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით, პროგრესული იდეების სკოლის მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დასწრებოდნენ ტრენინგებს შემდეგ საკითხებზე: ფემინიზმი და ქალთა მოძრაობები; სოციალური სახელმწიფო - თეორია და პრაქტიკა. ფორუმის კიდევ ერთი პარტნიორის, მაქვს ვან დერ სტოელის ფონდის (FMS), წარმომადგენლებმა კი სკოლის მონაწილეებისთვის ჩაატარეს ტრენინგი პოლიტიკური კომუნიკაციის მიმართულებით.

27-29 სექტემბერს ახალგაზრდების მორიგი ნაკადისთვის პროგრესული იდეების სკოლის ტრენერებმა გამართეს შემდეგი სემინარები: „კეთილდღეობის სახელმწიფო: სამართლიანობა, ეკონომიკა და ძალაუფლება“ და „სოციალური დემოკრატიის საფუძვლები“.

2024 წლის დეკემბერში სკოლის კურსდამთავრებულებმა გერმანიაში, კურტ ლოვენშტეინის საგანმანათლებლო ცენტრში გამართულ ზამთრის სკოლაშიც მიიღეს მონაწილეობა, რომელიც ანტიფაშიზმს, მემარჯვენე ესქტრემიზმის წარმოშობის საფუძვლებს, ნაციონალიზმის გავლენებსა და შეთქმულების თეორიების დინამიკას ეხებოდა. მთელი მსოფლიოდან 110 მონაწილესთან ერთად „პროგრესული იდეების სკოლის“ სამი კურსდამთავრებული ესეების კონკურსის საფუძველზე შეირჩა.

2025 წლის მაისის ბოლოდან პროგრესული იდეების სკოლის სემინარები განახლდება.

პროგრესული ფორუმის კვლევითი ცენტრი

პროგრესული ფორუმის კვლევითმა ცენტრმა 2024-2025 წლის განმავლობაში იმუშავა სხვადასხვა კვლევასა თუ პოლიტიკის დოკუმენტზე, რომლებიც ქვეყანაში სოციალური სამართლიანობის საკითხებს ეხმიანება და საზოგადოებას ფაქტებზე, ცოდნაზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს სთავაზობს. ცენტრის ერთ-ერთ უახლესი ნაშრომია „მშრომელთა ძალის ანგარიში 2024“, თუმცა, წლის განმავლობაში გამოიცა სხვადასხვა პუბლიკაციები:

ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაცია და ‘კარგი’ სამუშაო ადგილები


ფიგურა 3. „ინოვაციურ კონკურენტულობის ინდექსი“ საავტორო და მაღალტექნოლოგიური დამატებული ღირებულების %, მეზობელ საარჩევნო პროფესიებში
ინდექსი
ინდექსი
ინდექსი

მონოფსონია შრომის ბაზარზე – გამოწვევები და გადაჭრის გზები

საქართველოში კერძო სექტორის მთავარ გამოწვევად სამუშაო ძალის დეფიციტს ასახელებენ, მაშინ, როცა ქვეყანაში უმუშევრობა 16%-ია.

კერძო სექტორში დასაქმების მსურველთა დეფიციტს არაერთი მიზეზი აქვს. მათ შორის, მნიშვნელოვნი ფაქტორია დაბალი ანაზღაურება. ამის ერთ-ერთი მიზეზი კი მონოფსონიაა - დამსაქმებლის დომინანტური ძალაუფლება ბაზარზე, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, არ გაითვალისწინოს არსებული ხელფასები და სამუშაო პირობები და ის თვითონ, ხელოვნურად დაადგინოს.

საქართველოს პროგრესულმა ფორუმმა გამოიკვლია, თუ რა არის მონოფსონიის განმაპირობებელი ფაქტორები და მისი შედეგები საქართველოში. კოტე ერისთავის კვლევა ასევე წარმოადგენს რეკომენდაციებს მონოფსონიის პრობლემასთან გასამკლავებლად.

კვლევის სრულად სანახავად მიჰყევით ბმულს

უნივერსალური უფასო სასკოლო კვება საქართველოში – მიზანშეწონილობის დასაბუთება ფრაგმენტული სოციალური დაცვის სისტემის პირობებში

პოლიტიკის დოკუმენტი მიმოიხილავს სასკოლო კვების პროგრამის საერთაშორისო გამოცდილებასა და საქართველოს გამოწვევებს. ამასთან, გვთავაზობს საერთაშორისო მოდელებს, რომელთა დანერგვა შეიძლება რელევანტური იყოს საქართველოში. დოკუმენტის ავტორია ეთო გვრიტიშვილი.

დოკუმენტი გასცემს ზოგად რეკომენდაციებს საქართველოში უფასო სასკოლო კვების სახელმწიფო პროგრამის მოდალობისა და მიზნობრიობის კონტურების გამოსაკვეთად. საერთაშორისო სტანდარტებისა და კარგი პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე, ბავშვთა უფლებე-

ბის პრიზმიდან მიმოიხილავს უფასო სასკოლო კვების პროგრამის დანერგვის ჩარჩოებს. ამასთან, პოლიტიკის დოკუმენტი ასაბუთებს საქართველოში უნივერსალური სასკოლო კვების პროგრამის, როგორც ყველაზე ეფექტიანი სქემის დანერგვის მნიშვნელობას.

კვლევის სრულად სანახავად, გთხოვთ, მიჰყვეთ ბმულს

მასწავლებლების ანაზღაურების პოლიტიკა საქართველოში - პოლიტიკის რეკომენდაციები

დოკუმენტი მასწავლებლებლებთან დაკავშირებული პოლიტიკის რეტროსპექტიულ ანალიზზე დაყრდნობით განსაზღვრავს მასწავლებლების ანაზღაურების პოლიტიკის კონტექსტს და ანაზღაურების მოქმედი სქემით განპირობებულ ძირითად გამოწვევებს. ის ასევე გვთავაზობს რეკომენდაციებს აღნიშნული პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესის გასაუმჯობესებლად.

კვლევის სრულად სანახავად, გთხოვთ, მიჰყვეთ ბმულს

შრომა გიგონომიკაში: რა ხდება, როცა ალგორითმი გმართავს?

„პროგრესული ფორუმის“ მკვლევრის, ანა მიხელიძის კვლევა მიმოიხილავს „გიგ“ ეკონომიკასა და მის წიაღში ჩამოყალიბებულ პლატფორმულ შრომას. გიგ ეკონომიკაში პლატფორმა მომხმარებელს აკავშირებს მშრომელთან. ეს უკანასკნელი იღებს შეკვეთას და ისევ პლატფორმის გავლით მომხმარებელს მომსახურებას აწვდის. პროცესი კი ალგორითმის მეშვეობით იმართება. ავტორი არკვევს, რამდენად რეალურია პლატფორმული მშრომელების ავტონომიურობა და პროცესის მოქნილობა, როცა შრომა ალგორითმებით იმართება.

ეს არის მცდელობა, პლატფორმული შრომა დავინახოთ არა მხოლოდ როგორც ტექნოლოგიური პროგრესის ნაყოფი, არამედ როგორც გრძელვადიანი სტრუქტურული ცვლილებების შედეგი.

დოკუმენტი, ერთი მხრივ, განიხილავს პლატფორმულ შრომასა და მის ძირითად მახასიათებლებს, ასევე, მისთვის დამახასიათებელ ალგორითმული მართვის მექანიზმებს და მათ გავლენას მშრომელთა ავტონომიაზე. მეორე მხრივ კი - მიმოიხილავს პლატფორმული შრომის პრეკარულ ხასიათს.

კვლევის სრულად სანახავად, გთხოვთ, მიჰყვეთ ბმულს

შრომა გიგონომიკაში: კურიერების ამბავი საქართველოში

საქართველოში უმუშევრობა განსაკუთრებით მაღალია ახალგაზრდებში. კვლევების მიხედვით, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ფიქრობს ემიგრაციაზე, რის მიზეზადაც დაბალ ხელფასებს და სამუშაო ადგილების ნაკლებობას ასახელებს. ასევე დიდ ნაწილს, საბანკო ვალდებულებები აქვს ნაკისრი.

სწორედ ამ ფონზე დაიწყო გიგ ეკონომიკისა და პლატფორმული შრომის პოპულარობის ზრდა. ეს ინდუსტრია მშრომელებს მოქნილ გრაფიკსა და გადაწყვეტილების თავისუფლებას ჰპირდებოდა.

კვლევა ორი ძირითადი პლატფორმის – Glovo-სა და Wolt-ის კურიერების მაგალითზე იკვლევს მშრომელთა გამოცდილებას პლატფორმულ შრომაში, ალგორითმით მართვის გავლენას მათზე, პლატფორმული შრომის პრეკარულ ხასიათს და მიზეზებს, თუ რამ წარმოშვა კურიერების კოლექტიური საპროტესტო ტალღები. კვლევა ეყრდნობა პლატფორმული შრომის თეორიულ ჩარჩოებს და კურიერებთან და სფეროს მკვლევრებთან ინტერვიუებზეა აგებული.

“პროგრესულმა ფორუმმა“ კვლევების მომზადება შეძლო დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნული ფონდისა (NED) და ოლოფ პალმეს საერთაშორისო ცენტრის მხარდაჭერით.

კვლევის სრულად სანახავად, გთხოვთ, მიჰყვეთ ბმულს

ღირსეული შრომის ხელშეწყობა

2024 წელს დასრულდა პროექტი „ღირსეული შრომის დღის წესრიგის ხელშეწყობა ქალებისთვის ფორმალურ და არაფორმალურ სექტორებში საქართველოში“, რომელიც „პროგრესულმა ფორუმმა“ საზოგადოება „კომუნიკოსთან“ თანამშრომლობით განახორციელა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის, შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოსა და ავსტრიის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით.

პროექტი ორი ძირითადი მიმართულებით მუშაობდა: შრომის ინსპექციის ინსტიტუციური გაძლიერება და ოჯახში დასაქმებული ქალების მობილიზება და მხარდაჭერა. შრომის ინსპექციის სამსახურში შემუშავდა თანაბარი ანაზღაურების მიმოხილვისა და ანგარიშგების (EPRR) მეთოდოლოგია, ჩატარდა ტრენინგები ინსპექტორებისთვის,

მომზადდა სახელმძღვანელოები, გენდერული თანასწორობის სტრატეგია და ონლაინ სასწავლო კურსი ინსპექტორებისთვის და დაინტერესებული პირებისთვის, ასევე გაიმართა დისკუსია გენდერული სახელფასო სხვაობის შესახებ კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, რაც სისტემური ცვლილებებისკენ იყო მიმართული.

პროექტის მეორე კომპონენტი მიზნად ისახავდა ოჯახში დასაქმებულ ქალთა შრომითი უფლებების დაცვისა და ფორმალიზაციის ხელშეწყობას. ამ კუთხით ჩატარდა კვლევები, განხორციელდა საკომუნიკაციო კამპანია, შეიქმნა ძიძების ასოციაცია, საკონსულტაციო ცხელი ხაზი და საინფორმაციო ვებგვერდი. პროექტის მონაწილე დასაქმებულებმა ტრენინგების მეშვეობით მიიღეს ცოდნა შრომითი უფლებების, თვითორგანიზებისა და ადვოკატირების შესახებ.

პროექტის ფარგლებში მომზადდა პოლიტიკის დოკუმენტი, „უხილავი ხელები: ოჯახში დასაქმების ფორმალიზაცია საქართველოში“, რომელიც ასახავს შინ შრომაში დასაქმებულთა მდგომარეობას ქვეყანაში და რეკომენდაციებს მათი უფლებრივი სტატუსის გაუმჯობესებისთვის.

თვალი გვადევნეთ

პროგრესული ფორუმი:
https://progressive.ge

პროგრესული იდეების სკოლა:
https://progressiveideas.ge

https://www.facebook.com/progressive36

https://www.youtube.com/@ProgressiveForumGeorgia

https://www.instagram.com/school_of_progressive_ideas/

https://www.linkedin.com/company/103971841/admin/dashboard

https://www.tiktok.com/@schoolofprogressiveideas